

ნ.ბ. შ. აბაშვილისა

— თუკი ასე გაგრძელდა, სოცლის საზღვარგარეთი-  
დან შემოტანა აღარ დაგვირდება!

## ავტობიოგრაფია

ვის სულელი ვგონივარ,  
ვის კი ჰკვიან ქალად მთელის  
(ერთიც მაქვს და მეორეც,  
თითო-თითო კალათი).  
მე კი განგებ მაცვია  
ეს კლოუნის ხალათი:  
მინდა, მსხვერპლი არ ვიყო,  
მით უმეტეს — ქალათი!

## მასპროზები

მტკივა გული, არ მაქვს ძალა  
(წინათ ვგავდი რკინის  
მკვნეტელს),  
ღვინო მკაცრად ამეკრძალა,  
ხოლო შხამი — მით უმეტეს!  
შენ რომ შემხვდები, ციდან  
ღმერთმა  
სამი სიტყვა დამიძახა —  
ჩემი წერა თურმე შენ ხარ,  
ღვინოც ხარ და შხამიცა ხარ!  
მეპატიოს ამიტომაც,  
ერთ კორექტივს თუ შევიტან:  
შხამსაც შევხვამ და ღვინოსაც.  
ოღონდ — შენი ტუჩებიდან!

## რეკლამის აპოლოგია

ნენონს შუქით  
განათებულს  
მივყვები გამწირს,  
ქადრის ხეები  
ჩამუჭებულან,  
ატმოსფეროა მოლივლივე  
ფერების თასი,  
ქვეყნად ფერები  
აჯანყებულან:  
რეკლამა:  
„ღღას ფხვანურთია!“  
„იარაღი ტაძრით!“  
„მღარის საბრინა!“  
რეკლამა! რეკლამა!  
ქრება წითელი,  
შემდეგ ისევ  
წამოინთება,  
დრო მიქრის, როგორც  
ზღაპრული რაში.  
თეთრი ჩაქრება,  
მერე მყისვე  
მოვა ფიფქებად  
და ვიძირები

ფერების ზღვაში!  
რეკლამა:  
„მართალი ჩაი!“  
„მართალი ღვინო!“  
„სხვით შხამსურში!“  
რეკლამა! რეკლამა!  
რეკლამა!  
მივყვები გამწირს —  
აურაცხელ  
ფერთა ნიაღვარს,  
მიხარია და ფრენა  
მინდება!  
რატომღაც ვფიქრობ:  
სიყვარულიც  
ღვინოს მიიგავს,  
ღვინოს, რეკლამა რომ  
არ სჭირდება!  
რეკლამა:  
„ბიჭვარდით!“  
„ბიჭვარდის!“  
„მუშავარდით!“  
რეკლამა! რეკლამა!  
რეკლამა!

## სუფრასთან

არას ვაქნევ კონიაკს  
უმაღლესი ხარისხის!  
კარგი ღვინო გქონიათ,  
დამისხით!

შევხვამ მხოლოდ ატენურს  
თანაც მხოლოდ ხარის რქით, —  
ასე უფრო ხვდება გულს.  
დამისხით!

## ნუთუ?

მგლის ეშუილი, ნუთუ, ბედად  
სამუდამოდ გვიწერია?!  
ნუთუ, ასად დაჩხილი  
და გვემული იბერიია  
თვითონაა, როგორც გვიბრუნეს,  
პაწაწინა იმპერია?!

## თურქი

ვიცი, ზოგ-ზოგი ამისთვის  
მაგარი ჭოხით გამდენის:  
გაზეთი გამიგონია,  
მაგრამ ამ დენი?!  
ამ დენი?!  
გამოსაცემი წიგნების

მესმის კვნეა და ლაღლი:  
„ჩრჩილმა შეგვეკაშა უჭრებში,  
სად მიდის ჩვენი  
ქალაქი?“  
სადღაც ხითხითებს ფურცელი,  
ფრთხილად და ფოფინა:  
ვისაც შანის აქვს, ქალაქი  
თურმე იმისი  
ყოფილი!

## ბელაპროზორთა

ტელევიზორთან ვწვიარ და  
მივჩერებივარ ეკრანს.  
რაც იქ ამბავი ტრიალებს,  
ნეტავი რა უნდა ერქვას?  
ვიღაც გამოდის სიტყვით და  
ლაპარაკს არვიან აცლისს..  
ამაოდ ითხოვს კიდევ წუთს  
სმარხაღიერი კაცი..  
ზოგი პირღია ხარხარებს,  
ზოგსაც ეტყობა წყენა.  
ერთი ტაშს უკრავს მქუხარეს,  
მეორე იწყებს სტვენას..  
ურიაშული და ხორხოცი  
ავსებს დარბაზის სივრცეს.  
ის ირბითვალა ჩრდილელი  
ხელს უკლავს იწყებს!  
ერთი ამოქნარებს ტკბილად და  
მეორე უკვე მიწვა.  
ტრიბუნაზეა მესამე  
და ილანდება ბილწად..  
და აღარ მიკვირს, როდესაც  
ასეთი კითხვა დგება:  
ეს პარლამენტის სხდომაა,  
თუ კოლექტივის კრება?  
ბოლოს, გონს როცა მოვეგებ:  
აზრი რომ დამიბრუნდა,  
ტელევიზორი გადავრთე —  
მულტფილმს ვუუურო უნდა!

## ბარდაქმნის მადლი

მეზობელი მყავდა ერთი,  
მუშაობდა ვირივითა,  
დღე და ღამე ასწორებდა,  
მაინც იყო ჩხირივითა,  
წელში იყო მოკაყული  
მიკირტუმას ცხვირივითა.  
ახლა დადის გამართული,  
ზე დამყურებს ბელადივით  
ხორცი ბლომად შეისხა და  
მსუქანია კერატივით.  
დღეს გავიგე — გაუხსნია  
ნამცხვრის კოოპერატივი!

## ინფლაციური კლიტარაცია

ბევრი არა გინდა-რა:  
ვალი რომ არ დაგედვას,  
დაიჭრე იქარა!  
უნდა ენდო არენდას!


## მიწვევა

ბაზარი და ქორვაჭარი  
მთელ საცოდავ ხელფასს  
მართმევენ,  
შევად მაღაზიაში და  
ვერ ვუიღულომ ველარფერს!  
ფულს ვსესხულობ და ვალები  
ვედარ ამითავებია,  
ჩაღის ფასიც აღარ ადევს  
ფულს, ბელადისთავებიანს!  
შარშან მე რომ კაბა მეცვა, —  
წლელსაც რომ ის მაცვია, —  
ამას ერთი მოზეზი აქვს —  
უმწვავევი ინფლაციას!

## უფროსი ძმა — უმცროსი

შენზე ვფიქრობ დენიადგ,  
შენზე ვზრუნავ დღე და ღამე!  
თავი ხომ არ მოგაბეჭრე,  
ხომ არ გაწუნინე რამე?!  
ბევრი თუ არ გაგიკეთე,  
დაპირებით ხომ გაამე?!  
რატომ მიმწერ მოღუშული,  
ხომ არ გაწუნინე რამე?!  
მარგანეცი, ჩაი, ღვინო  
მილიონი გავიტანე!..  
რამე ხომ არ დაგაკელი,  
ხომ არ გაწუნინე რამე?!  
შენთვის ბარი, არც ხელკეტი,  
არც „სი-ენი“ დავინანე!  
ცოტა შუბლი ხომ არ გტკივა,  
ხომ არ გაწუნინე რამე?!  
ფეხებზედაც არ მკიდა,  
თუ ცრემლებით დინამე!  
ლანძღვა ხომ არ დამიკლია,  
ხომ არ გაწუნინე რამე?!  
ის, რაც იყო, ზღაპრია,  
აწი უფრო გაგაწამებ!  
გარე-გარე რომ მიიწვევ,  
ხომ არ გაწუნინე რამე?!





— აიღე! უბრალო ფული არ გეგონოს, კონვერტირებულია!..

### ახალი ასოციაცია ექვს ალიარებასა და სპონსორებს!

ფელეპონი

ჩვენი დედაქალაქის მცხოვრებთათვის კარგა ხანია ცნობილია სპორტის ახალი, ჭარჭვრითი არაფორმალური მიმდინარეობა — „საფოსტო ყუთებთან მებრძოლთა ასოციაცია“, რომელმაც ბოლო წლებში განსაკუთრებით ფართო მასშტაბი და შეუზღუდავი განვითარება პპოვა. არ ვიცი, რამდენად ინტენსიურად მოიკიდა მან ფეხი საქართველოს სხვა ქალაქებსა თუ რაიონებში, მაგრამ ინფორმაციის სადღეისო გავრცელების ელვისებურ სისწრაფეს თუ გავითვალისწინებთ, ვფიქრობთ, რესპუბლიკის ბევრი კუთხე არ დარჩებოდა გულგრილი ამ სახალისადმი. ერთი კი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას — თბილისის თითქმის ყველა რაიონი აქტიურადაა ჩამოყალიბებული ახალგაზრდული სპორტის ამ ახალ სახეობაში, მოულოდნელობის საოცარი, ყოველდღიური წარმატებებით რომ გვახარებს. აბა, წარმოიდგინეთ: დილით, სამსახურში წასვლის წინ, საკუთარი ძალით ან გულმოწყალებით მეზობლების დახმარებით საგულდაგულოდ ჩაკეტავთ თქვენს არცთუ ისე მომზიბლავი გარეგნობის მქონე საფოსტო ყუთს, შემდეგ კი, სამუშაოზე ყოფნის მთელი დღის მანძილზე, გული ჭერგანუცდებით, გაურკვეველი მელვარებით გიცემთ!.. დავანებოთ თავი იმას, სასიამოვნოა თუ არა ეს განცდა, მთავარია სპორტული ექსტაზი, წარმოსახვის უსაზღვრო პერიპეტეები — როგორ დამთავრდება სპორტსმენთა ღრუბანდელი შერკინება, შედეგები, ქულები!.. ზოგჯერ, შინაბარუნებულს, უკმაყოფილების გრძობაც კი გეუფლებათ — საფოსტო ყუთების ფართო სტენდზე მხოლოდ აქა-იქ რაღაც სამი-ოთხი ყუთი თუ შემოგლიშებთ ფართოდ გაღებული პირით. სამაგიეროდ ამ დანაჯარგს შაბათი და კვირა დღეები ანაზღაურებენ, როდესაც სპორტსმენთა შემართება მარტო-ოდენ იმ ერთადერთი მიზნითაა მოიხიზებული, რომ რაც შეიძლება მეტი ხელმარჯვეობა დაგანახვით და აღნიშნული სპორტის ყოვლისშემძლიერებაში დაგარწმუნოთ: რამდენჯერაც უნდა ჩაუაროთ საცდელი ობიექტებს, ანუ საფოსტო ყუთებს, სულ ახალი წარმატებების მოწმე ხდებით! ჭერ ორი ყუთი იციან, შემდეგ ოთხი, ექვსი, ათი და კვირა საღამოსათვის ყველა მათგანის პირი ისე მომზიბლ-

ვალ და ფართოდაა გადაშლილი, რომ ძალაუნებურად თქვენც გელიმებათ (სატირალი რომ არ იყოს!) და უკვე მერამდენეჯერ „დალოცავთ“ ამ გმირობის შემოქმედთა მარჯვენას!



და მაინც რა უგულისყურონი ვართ ყოველგვარი სახალისადმი! თქვენი რა მოგახსენოთ და, მე პირადად გული მეთუთქება იმის გაფიქრებაზე, თუ რა შეუმჩნეველად, უმფარველოდ იკარგება ეს აუღიარებელი, დიდი მომავლის მქონე პოტენციური ტალანტი. ხომ შეიძლება, თითოეული მათგანისაგან მომავალი „ვზლომშჩიკები“, „მედვენიკები“ და, ვინ იცის, კიდევ რა სასახელო პროფესიის სპეციალისტები აღგვეზარდა?! ვფიქრობ, წვრთნის დასაწყის ეტაპზე მათი ტალანტისადმი ასე უგულისყურო მშობლები და ნათესავ-ანლოზლებიც გამოდგებოდა, ხოლო შემდგომ უფრო მაღალ ფენებშიც გამოუჩნდებოდათ მფარველები.

ყოველი ახალი ასოციაციის შექმნისას, მით უმეტეს სპორტისთვისობრივად ჭერ სახეობით უცხო სახეობისა, მისი მატერიალური ბაზის წყაროებზეც ღირდა დაფიქრება. გარდა ფიზიკური წვრთნისა, მათ ხომ საჭირო ხელსაწყო-იარაღებიც (მაგალითად, ქილები, ბრტყელტუჩები, ჩაქუჩები და სხვა) სჭირდებათ? ურიგო არ იქნებოდა, თუ მათ სპონსორობას შესაბამისი სახლმმართველობები და რაიონული საბინაო-საექსპლუატაციო კანტორები ითავებდნენ — სპორტის ამ სახეობისადმი მათ კეთილგანწყობილებაზე ისედაც ბევრი ფაქტი მეტყველებს. შემდეგ კი, როდესაც ზემოთ მოხსენიებული სპორტსმენები უფრო ფართო ალიარებას მოიპოვებენ, ვინ იცის, საქველმოქმედო მართონში შეიძლება მილიციის განყოფილებათა ნდობით აღჭურვილი პირები, ე. წ. უზნის ინსპექტორებიც ჩაებნენ?

იმედის მომცემია მოზარდ სპორტსმენთა ასაკიც — საბედნიეროდ თითქმის ყველა მათგანი სასკოლო ასაკის, ჯან-ლონით სახე და, რაც მთავარია, აღნიშნული სპორტის ასე ერთგული ყმაწვილებია და კარგი მწვრთნელის ხელში არამეტუ მოლიავებულ სადარბაზოებს, კარგად ჩაკეტილ-ჩარაზული სასახელების შესასვლელებსაც კი აიღებენ!

ვიჩქაროთ, დაყოვნებამ შეიძლება დიდი ზიანი მოუტანოს ამ ახლად გაფურჩქნილი სპორტის მრავლისაღმქმელ მომავალს!

ვეთევეან დეისაქე



**პირქილიანი პორნილი**

ამას წინათ ჩემი მეგობრის ვაჟმა გოგო მოიტაცა! მოიტაცაო, ვამბობ, თორემ გაიპარნენ და მერე შეუღლდნენ. მშობლებმა დიდი ქორწილი გადაუხადეს გოგო-ბიჭს. ნეფედლოვადი ასაკით იმდენად პატარები იყვნენ, მექორწილებს თავი საბავშვო ბაღში ეგონათ. სუფრასთან, ჩვენს მოპირდაპირე მხარეს, შუახნის ცოლ-ქმარი იჯდა. ქალი მაინც ქალია და კეკლუცობდა. ქმარს რაღაც არ მოსწონდა და ვერ იყო გუნებაზე. ცოლი ეუბნებოდა:

- შეხედე, პატარძალი რა კარგია და რა ლამაზი საყურეები უკეთიაო!
- ქმარმა უპასუხა: — საყურეები კი უკეთია ლამაზი, მაგრამ ყურში თუ ეყურება რამე, მაგია საინტერესო!
- იქვე, ახლოს, 60 წელს მიღწეული კაცი ხუმრობდა: — მე რომ გავიპარო და ცოლი ისე ვითხოვო, არ გავიუღებ ხალხიო!
- ვიღაცამ უპასუხა: — მაგი რა მოგახსენოთ, ბატონო, მარა თქვენ რომ ძილში გაიპარებოდეთ, უფრო მოვიხსენებთ!

გივი ოდიშარია

**დავეუფლოთ ურნაბურთს!**

ძალიან შალეღვეებს ჩვენში კალათბურთის მომავალი მაინც, სად უნდა გაიზარდონ პროფესიონალი კალათბურთელები? ქუჩაში, ბატონო, ქუჩაში!

ვარჯიშის მეთოდი ასეთია: გაჩერებაზე, საზოგადოებრივი ტრანსპორტიდან ჩამოსვლისას, ბილეთი ჯერ უნდა დაანახვით მძღოლს, მერე მიუახლოვდეთ ურნას და... შიგ ტყორცნოთ! თუ ააცილდეთ, აიღეთ და, ხელახლა გაიმეორეთ! როცა ასეთი ვარჯიში ახალგაზრდებში მასობრივ ხასიათს მიიღებს, მერე სპორტის დამოუკიდებელ სახეობადაც ჩამოყალიბდება და მას ურნაბურთს შევარქმევთ! ასე გავზრდით ურნაბურთელებს და მეუფოვებხაყ შევუმსუბუქებთ შრომას!

გია სალუქვაძე

**გელის სიძღვრა**

ამბობენ, გელი სიკვდილის წინ მღერისო. ამ თქმულების წარმოშობის ადგილი ჯერაც არ არის დადგენილი. მაგრამ არის იმის წანამძღვრები, რომ მექასავით წმინდა ასეთ ადგილად საბურთალო, აერძოლ. შრომის სასახლის მიმდებარე ტერიტორია მივიჩნიოთ. სადაც დღემდე დგას შესანიშნავად გაფორმებული კაფე „გელი“.

გელივით ლამაზად შობილა „გელი“. მაგრამ იქვე სიკვდილის მოახლოება უგრძობია და ფანჯრის შუშების ლიწინ-ლიწინის აკომპანემენტით თავისი პირველი და უკანასკნელი სიძღვრა დაუმღერია! საინტერესოა, სად იყვნენ მისი პატრონები ან მშენებლები, ან საბურთალოს რაიადმასკომი ან სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები, როცა „გელის“ ეს სიკვდილისწინა ამოკვენა ისმოდა?

„გელის“ გარეგნული იერი და შინაგანი აგებულება — ძვირფასი დანადგარები — გარედან რომ რენტგენის სურათითი მოჩანს, გვაფიქრებინებს, რომ იგი ჯერ ისევ ცოცხალია! ხალხნო, საბურთალოელებო, შეეშველეთ „გელს“, სანამ სასიკვდილოდ თავი გადაუგდია!

რაჯი ჯინჯარაძე





— შეილო, მთელი ღამე ყანწებს რომ ატრიალებდი  
და, ქართულ მიწას გაუმარჯოსო, გაიძახოდი, წამოდი  
ახლა და მომეხარე უნის თოხნაში!  
— რას ამბობ, მამი?! ჩემს ქართულ მიწას მე თოხს  
როგორ დავატყამ?!

# ქანკარუსკა

**დაიწყო** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლა პროცესს თან სდევს ზოგიერთი რესპუბლიკის გამოყოფა! მოსალოდნელია ჩაჭვური რეაქცია! პოლიტაქტივობის ზრდასთან ერთად რადიკალიზაციის გაღივება მოსალოდნელი არ არის!

**საგვითა** სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში, ვაკანსიების გამოჩენის შესაბამისად, ცხადდება კონკურსი მათ შესავსებად! მონაწილეობა შეუძლიათ საშუალოზე მაღალი ეკონომიკური განვითარების, უმაღლესი პოლიტიკური განათლებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს გამოცდილების ქვეყნებს, რომელთაც შესწავლილი აქვთ დემოკრატია! კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა წარმოადგინონ განცხადება პრეზიდენტის სახელზე, ეკონომიკური სურათი (სამ ცა-

ლად), გაეროს რეკომენდაცია და ნატოს დახასიათება! კონკურსში გამარჯვებულნი კავშირში უგამოცდოდ ჩაირიცხებიან!

**იხსენება** ეკონომიკური ბლოკადის მოწყობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლების ორწლიანი კურსები! მსმენელთათვის აუცილებელია სასურსათო პროდუქტებით, ელექტროენერგიით, ნავთობპროდუქტებით მომარაგების სფეროებსა და სარკინიგზო და საავიაციო ტრანსპორტში მუშაობის გარკვეული სტაჟი! კურსდამთავრებულნი გაიგზავნებიან ბალტიისპირეთის მხარეს! პერსპექტიული მიმართულებებია მოლდავეთი და ამიერკავკასია!

განცხადებები ამოიწერა  
თამაზ ებანოიძე



ცარიელთა ვიანა



ნახ. მ. აბაშიძისა

„ოცდაოთხში“ გაჯგომულხარ  
 სათვლით,  
 „დუბლიონკა“ ჩავიცვამს და  
 დიდგულობ,  
 უცნობ გამვლელს ეგონები  
 ნასწავლი,  
 შენ კი, თურმე, გაზეთსაც არ  
 კითხულობ!..  
 როცა რამე სამომავლო  
 შენდება, —  
 დიდი ზომის თუ იმაზე  
 ნაკლები, —  
 ფასადს თვლით შეხედავენ  
 და შემდეგ  
 იკითხავენ: „რითი არის  
 ნაგები?“

სკამკაცდა

სკამზე ზის და სკამზე  
 წვება,  
 სკამზე ჭამს და სკამზე  
 მღერის,  
 სკამზე წერს და სკამზე  
 ხატავს,  
 სკამით არის ბედნიერი!  
 სკამი — თბილი, (სკამი  
 — რბილი  
 გამოცვალა უკვე სამი!..  
 დედა, მამა, ცოლი,  
 შვილი  
 მისთვის არის მხოლოდ  
 სკამი!

\*\*\*

ან ქლესაა, მლიქვნელი,  
 ან გიჟია უცილოდ!  
 ყველაფერზე ხელმძღვანელს  
 როგორ უნდა უცინო?!  
 \*\*\*

ეროი — ყველასთვის,  
 ყველა — ერთისთვის?! —  
 სიცილით კვდება  
 კარიერისტი.  
 \*\*\*

ერთხელ ჩავჭექი ხაკუთარ  
 ტაქსში,  
 ორმაგი მხურსო! — ხელით  
 მიჩვენა.  
 რომ არ მივეცი,  
 წამიყვანა და,  
 ხალაც დავჭექი,  
 იქ გამიჩერა!..

ხმით ნატირალი  
 პატიმარ ქმარზე

საქვეყნოდ გაგიცხეს,  
 პატიმარად გაქციეს!..  
 მაგ ციხის „ბაღინას“ —  
 წყალწყალა შეჭამანდს —  
 ცოტა რომ გეშრომა,  
 ცოტა რომ გეშოვა,  
 არ სჭობდა, ცოტ-ცოტა  
 მშვიდად რომ გეჭამა?!  
 \*\*\*

ჯურაბ მამულაშვილი



— შენ თუ თანამდებობიდან გადადგომაზე განცხადებას წერ, მაშინ მე თვითდაფინანსებაზე გადავდგვარ!

ნახ. ბეჟან გოგიასი (სამხტრელი)

# წვიმასი დაბალი კრამიტი

იუმორესკა

**თავსება** წვიმასა!.. კოლმეურნეობის კანტორის საჩინო ადარს თავშეფარებული გლეხები კრელ-კრელ ამბებს ჰყვებიან და როხროხობენ.

— სსს! — წამოისისინა ჩიტესამ, — ქალბატონი პეპელა მობრძანდა!

— ეგ ვინაა? — ღრეკით იკითხა მიხომ.

— არ იცი? ჩვენს კოლმეურნეობაში ახალმოვლენილი ვეტფერშალია ქალაქიდან.

— ჰო, ისაა, ანეკდოტებს რომ ჰყვებიან?!

— ეგ არი და ეგა!..

პეპელა ხალხს მიესალმა. გლეხები წამოდგნენ, ადგილი დაუთმეს. მხოლოდ ჩიტესამ, ვითომც პეპელა არც შეუმჩნევია, ხმამაღლა დაიწყო:

— ორი დღეა გადაუღებლივ წვიმს. ამ კრამიტს პატრონი რომ ჰყავდეს, წვიმაში არ ეყურებოდა!..

მიხო მიუხვდა ჩიტესას სათქმელს და განაგრძო:

— მართალი ხარ, ჩიტეს, ჩვენს საწყობის გამგეს მართო მოპარვაზე უჭირავს თვალი! სახალხო ქონებაზე მავსა გული რომ სტკი-

ოდეს, ამ კრამიტს ეგრე არ დაჰყრიდა!..

— აბა, რა უნდა უყოს ამდენ კრამიტს?! — ჩაერია საუბარში პეპელა.

— რა და, ქალბატონო, საწყობში იმდენი ბრეზენტი უწყვია, ნახევარ სოფელს გადასწვდება! — მიუგო ჩიტესამ.

პეპელა უკანვე შეტრიალდა კანტორაში.

გლეხებმა კოლმეურნეობის თავმჯდომარის კანტი ოდნავ შეაღეს და მიაყურადეს.

— ბატონო ვარდენ, — გაცხარებით ეპაექრებოდა თავმჯდომარეს პეპელა, — მოსახსნელია ჩვენი კოლმეურნეობის საწყობის გამგე! საწყობში ბრეზენტი უწყვია და ერთს არ იფიქრებს, გამოიტანოს და გადააფაროს!.. წვიმისგან ლამის დაღებს კრამიტს!..

პეპელას პირდაღებული მისჩერებოდა თავმჯდომარე. მას გულწრფელად ეცოდებოდა გლეხების ყბაში ჩაყარნილი „სპეციალისტი“.

სოლომონ ლაფაური

## გარდავიქმენი გვერჯარი!

ქრონოსული  
ბიბლიოთეკა

გარდავიქმენი შვიდჯერ, შვიდჯერ დავკარგე რწმენა, შვიდი ხელმწიფის შიშით ქბილებს ვადგამდი ენას!.. „პერსტროიკას“ გავცდი, წინათგრძნობა მაქვს მეცხრე: მოდის სიმართლის კაცი, იგი ახალ გზებს ეძებს! წარსულს შეუდგა წყალი, სიმართლე უკვე ელავს!.. მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინს კიდევ ვუწოდებთ ბეზადთ?!

## ყველას უფროსობა უნდა!

წერენ, წერენ, წერენ, წერენ, არ ეღვებათ თითები!.. დღეს მწერლები მომრავლდნენ და ცოტა დარჩა მკითხველი! „სწავლა, სწავლა!“ — დევიზია, მოდაშია დიპლომი! ცხრა კაციდან ერთს თუ ნახავ მცოდნეს, — მეტს ვერ იპოვი! არვინ არ გვეყავს მოხსნელი და არვინ არ გვეყავს მბარავი!.. ყველას უნდა უფროსობა, მუშაობა — არავინ!

ივადი თედორაკი  
(ჩოხბატურის რაიონი)



ნახ. ნ. სოლომონისა

— ვერა და ვერ მოვხვებ ეს სარეველა ქართული ვაზი!



# საწიგარეოებისათვის თავდაპირველადი

საქართველო  
საზოგადოებრივი

— კარგად დამიგდე ყური! — ეუბნება თანამოსაუბრეს შუახნის ექიმი-სანიტარი, — ახალი დამთავრებული გაქვს ინსტიტუტი და მინდა გულახდითი რჩევები მოგცე. ახალგაზრდა სპეციალისტი ხარ. რამდენი დავიჯდა ინსტიტუტში მოწყობა? არა თქვა, ცოდნით ჩავაბარეო, თორემ დავრეკავ და ფსიქი-ატრიულში მოგათავსებენ. ჩემ დროს რა ღირდა, აღარ მახსოვს, შენთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მეცოდები: ანაზღაურება ხომ უნდა დანახარჯს?.. დანახარჯს კი არა, ცოდნას. მეც უნაზაროდ გირჩევ და რასაც გეტყვი, დამისმე!

სულ დამავიწყდა: ინსტიტუტში სესიებზეც დავცანსკლიდენ რაიმეს. როცა მე ვსწავლობდი, ესეც იოლი იყო: ღორის ბარკალს მივუტანდი ლექტორს და სამიანი განაღებულნი მქონდა. ცოტაოდნე ფქვილსაც თუ დავუმატებდი ხინკლის გასაკეთებლად, ოთხიანსაც ჩამიწიქვებდა მატრიკულში, თუნდაც სადარბაზოში შეხვედრისას (მაშინ შენსავით ტანწვრილი ბები ვიყავი. ახლა, ხომ ხედავ, როგორ გამოვიყურებო: თუ თელავის ჭადარს თორმეტი კაცი შემოაწვდენს ხელებს, წყისტად არ მახსოვს, თორმეტი, ათი თუ ექვსი, მე რამდენი შემომერტყმება გარშემო? სხვებისგან სისქითაც განვსხვავდები).

ახე რატომ გავსუქდი? საზოგადოების, საქმის, სპეციალობის სიყვარულის გამო.

სადაც უნდა მივიღე, შემოწმება ქეიფით მთავრდება. სუფრა განა სასაუზმის მენიუთია შედგენილი? მოაქვთ ნაირნაირი სასმელო, თევზულო, მწვადი და კიდევ ბევრი რამ. იძულებული ვარ, ვიღაცას ანგარიში გავუწიო — დავლიო და ვჭამო. მეც ვსუქდები, ჩვენს სპეციალობას უველა აფასებს. ჩვენც ვალდებული ვართ, შევიფეროთ. საზოგადოებისთვის, მთლად უცხო ხალხისთვის, უნდა ბოლომდე ვუქდე სუფრას. ადრე ადგომა სირცხვილია, — დაგემღურებიან. მეც ვსუქდები და ვსუქდები. იმ დღეს „დამგობრებულ“ ადამიანებს რა ენადვლებათ? ახლა მე მკითხონ: გული ცალკე მტკივდება. წნევაც იწევს მაღლა, თირკმელებიც კარგ მდგომარეობაში არა მაქვს!.. რა ენადვლება საქმეში ჩაუხედავ კაცს ამიტომ ვსუქდები და ვსუქდები. ძველი ნაცნობები რომ მხვდებიან, ზოგი იყინის, ვედარ გცნობთო. ზოგს ვეცოდები. ვუხსნი სიმსუქნის მიზეზს. არა სჯერათ. ახეა, როცა საქმე გიყვარს, როცა საზოგადოებისთვის თავდადებული ხარ. მაგრამ თავის ჭება არ მინდა, მსურს. გამოცდილება გაგზიარო და რჩევები მოგცე.

ახალი დაწვებული მქონდა სამსახური. ღვინის მაღაზიაში გამაგზავნეს სანიტარულ შემოწმებაზე. მთლად გამოუცდელი ვიყავი. ზაფხული იღვა. ქუჩაში ცხელოდა. შიგნით, მაღაზიაში, სასიამოვნოდ გრილოდა. მაღაზიის გამგემ თავაზიანად დამითხო სკამი. საქაღალდე გავხსენი. ამოვიღე კალამი და სანიტარული შემოწმების აქტები.

გამგემ არც აცია, არც აცხელა, მარჯვენა კარებისკენ გაიშვირა და „მობრძანდითო“, მითხრა. გავყვი. თაროებზე ჩამწკრივებულმა ფერადეტიკეტიანმა ბოთლებმა თვალები ამიჭრელა.

— რომელი ღვინო მოგწონს: თეთრი თუ წითელი? — არ ვიცოდი. რა შეპასუხა, მაგრამ უცებ

მოვიხაზრე (ტყუილად ვსწავლობდი შვიდ... მამ! ექვს. წელიწადს?):

— მე მიყვარს წითელი, მამას — თეთრი! გაკვირვებულმა გამყიდველმა მკითხა: — როდის დამთავრეთ სამედიცინო? — ერთი თვის წინ, — ვუპასუხე. — ერთი თვეა და უკვე... — რას ნიშნავს „უკვე“? — თაროზე აბლაბულა შევამჩნიე. — ეს რა არის? — დამლაგებლის ბრაღია! — ტილო გადაუსვა.

— მაინც, რა „უკვე“? — ჩავაცვიდი. — უკვე ჩამოყალიბებული და მომწიფებული სპეციალისტი ბრძანდებით! — ჩემსავით სწრაფად მოიხაზრა პასუხი გამგემ, — აქტები შეინახეთ, გეთაყვა!

— იატაკზე ნახსხვრევები ყრია! — დამლაგებლის ბრაღია, გეთაყვა! — კვლავ ჩაერია გამგე, — სამარკო გირჩენიათ. სადესერტო თუ სუფრის?

კვლავ დავიბენი, არ ვიცოდი, რას ეწოდება სამარკო, სადესერტო და სუფრის ღვინო. ღვინოების ასეთი დაყოფა პირველად გავიგონე. კალამს ვათამაშებდი. გაჭირვებისგან გამგემ მიხსნა:

— თქვენ ალბათ სამარკო, მამას — სუფრის, არა?

— დახს, სწორად გამოიცანით!

— დედას და ცოლს სადესერტო, ალბათ, არა, გეთაყვა?

— დახს! — მივუხე მე.

დავამთავრე მაღაზიის შემოწმება. გარეთ გასვლა შეწარება. მოედანზე ცხელა.

მაღაზიის კარებთან დავდექი. ჩემს გვერდით თავაზიანი გამგეა. მოედანს ვათვლიე-რბე.

— თევზის მაღაზიაში რა იყიდება?

— კალამი, სრამული, თართი... — (ეს

თევზეული თავისუფლად არც მაშინ იყიდებოდა) პასუხს მაძლევდა გამგე და თან უბის წინაქი ყველაფერს ინიშნავდა.

— იქ ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაა?

— დახს! — გამგე ხმამაღლა იძახდა იმას, რასაც წინაქიში იწერდა: — ბაღრიჭანი, კიტრი, პამიდორი, საწამთრო, ნესვი...

— აქეთ?

— ხორციის მაღაზიაა, ძროხის სუკები, არტალა, ხაში... — (არც პროდუქტები იშოვე-ბოდა მაღაზიაში). — გამგე ხმამაღლა ამბობდა ჩემს სათქმელს და კვლავ უბის წინაქიში იწერდა.

გამოვეშვიდობე. ტროლეიბუსის გაჩერებასთან („ჩუგული“ არ მყავდა) წამომეწია და მისამართი მთხოვა.

სალამოს (ძველ ხალხში ვცხოვრობდით) ჩვენს დახაშულ ევოში კურტინიანი მუშების ათეული შემოვიდა. საფენურებდამაღ კიბზე ზოგს ღვინო, ზოგს სუკი, ზოგს პამიდორი, საწამთრო და, ვინ მოსთვლიდა, კიდევ რა სახმელ-საჭმელი არ ამოჭმონდათ!.. ასეთია ჩვენი პროფესია — ხალხი გაფახებს!

ერთ რჩევას მოგცემ: არ გაბედო სამედიცინო დაწესებულებაში შესვლა. თერთხალათიანები მცოდნენი არიან. ერთხელ სტერილიზაციის მაგიერ დეზინფექცია ჩავწერე და კინაღამ ციხეში ამოვყავი თავი.

როგორ გააკეთო ფული? ამას ვერ გასწავლი იქნებ იმდენი მოაგროვო, ჩემი ადგილის ყიდვა შესძლო! მაშინ როგორღა მოვიტყე? ისე, მაინც გულკეთილი ვარ და გეტყვი: ფულის შემოდგენისას ჭიბე გაუშვირე, რამდენსაც ჩაგიდებენ, იმით დაკმაყოფილდი! სამი-ოთხი დღე ფულს ხელი არ ახლო, შეიძლება დანაშაული იყოს!..

წარმატებებს გისურვებ, ახალგაზრდა კოლეგა!



— ელემტროსუქი არა გაქვთ, ხანთლებზე მიგიღებთ საქმე? — არა, ბატონო, ცოდვებს ვინანებთ!



ქართული + შორისი = 150

ახლახან რომ ვირეოდით პეღე-ვაჟა-გარინჩაზე, — უფრო ადრე ჩვენ არ გვყავდა ჩეჩელაჟა-პაიჭაჟე?!  
ბრიგუნაჟე პურიმორაჟი

ორიოდ სიტყვა მინდა ვუთხრა გაიოზს, ბორისს — ქართულ ფეხბურთის ნამდვილ გრანდებს თვით გრანდთა შორის:

... თასმიან ბურთით „მუშაობა“, თან უბაზობა, მატარებლებით შორს მგზავრობა, განა — „ტუეებით“? თუ ატყუებდით, — მხოლოდ მცველებს მწვანე გაზონზე, მაყურებლებს კი არასოდეს არ ატყუებდით!

თქვენ არ გჩვეოდით ბინების ცეცხლს, არცა „ვოლგების“, არ გლირსებით ფირმა „პუმი“ ან „აილიასი“. გსდევდათ დიქტატი, უბედობა გასაოგნები, სანატრი იყო პირველობა, სანატრი — თასი!..

... მარჯვენა ფრთაზე გაიოზი მართავს კარუსელს — მარჯვნივ ფინტებით მოპაექრით დააბზრიალებს, მერე მონახავს ცენტრში ბორისს — ბურთის კარუსელს — პასს გადააწვდის და მეკარეს გააზრიალებს!..

ავერ ბორისი: ბურთი ბუცზე მოიბა ლამის, კარისკენ გაკრიოს მცველნი თითქოს გაპყენენ ესკორტად. იმ ბურთს ვერსაით მიუღდნენ და გამორჩათ წამი — როდისღა მოწყდა და ბაღეში როგორ შეგორდა!

... მაშ მივეულოცით იუბილე გაიოზს, ბორისს, დე, სადღეგრძელოდ აელვარდეს სასმისი ბროლის: ორივესათვის „ხვალე“ მუდამ კარგად ხელობდეს, შეხეთ ციფრს ზემოთ — ორივე იმდენ წელსა ხარობდეს!

თამაზ ეგანოიკა

მეგობრული შარჟი ამირან მურიტიფილისა

I

„მატ როსსია“, ვგონებ, ასი საქართველოს ტოლია, აქ ვიწროდ ხარ, იქ ხალგათად მოთავსდები, ტოლია!

ტაგანროგში დედა რომ გყავს, ვითომ არა გყოლია? უპატრონოდ არ მოგიკვდეს, ჩააკითხე, ტოლია!

შენი მიწა დედა და სხვისი მამისცოლია,\* იქით სიმფეროპოლია, აქეთ სტავროპოლია. იმათ გაღმა და გამოღმა „პოლია და პოლია“ — უშენი და უპატრონო! უპატრონე, ტოლია!

ჩვენთან ღობე ტყრუშულია, თქვენთან „ჩასტოკოლია“, ეზო-ყურე „ჩასტოკოლით“ შემორაგვე, ტოლია!

ზოგან „ნოსტალიგია“ ჰქვია, ზოგან „მელანქოლია“, შენ არც ერთი არ გაწუხებს? ვინ ხარ ბიჭო, ტოლია?!

თუმცა ჩემი ნაკადული დამსხვრეული ბროლია, ვიცო, „პრუდი“ გირჩენია, „პრუდს“ მიხედე, ტოლია! თუ წახვიდე, წაიყოლე ვალია და კოლია!

II

შენთან ხარობს „პოდსოლნუხი“, ჩემთან ყველგან ვაზია. შენთან მიწა მსუყეა და მინდვრებიც ლამაზია, გაახარე „პოდსოლნუხი“, წადი სახლში, ვასია!

რაიც ჩემთვის „მანავია“, იგი შენთვის „კვასია“, შენი ჰობი „უხაა“ და ჩემი ჰობი ხაშია, — შენ „კვას“-„უხას“ მოუარე, სახლში წადი, ვასია!

შენსას „პერეგოროდკა“ და ჩემსას ჰქვია ტიხარი. შენი რომ ვერ შეიყვარე, ჩემი რით შეიყვარე? „ნუთუ არ გენატრება ის ადგილი, ის მხარე, სადაც ფეხი აიდგი, სადაც გულით იხარე?“

შენთვის „პერესტროიკა“ და ჩემთვის გარდაქმნა არი, ესეც ჩემთვის სულ სხვაა და შენთვის კიდევ სხვა არი, აქაც შენსა და ჩემს შორის სხვაობათა ზღვა არი, ამიტომაც დროა უკვე, შუა გვედოს ზღვაარი!

ჩვენი სამეზობლო მიჯნა ვიცით, რომ „კაკვაზია“, სამეზობლოდ გადმოხვედი? რამდენი ხნით, ვასია! გოცებით შემოგვეყურებს ევროპა და აზია, — ერთს ამბობ და სხვას აკეთებ, შე ღმერთძალდო ვასია!

ერებს ათავისუფლებენ, საქმე დასწრებაზეა, ნამიბია გაათარხნეს (კი, ნამდვილად ასეა!), მოჭიკანი კოლონია... გაგვათარხნე, ვასია! თუ წახვიდე, წაიყოლე ლუსია და ასია!..

ალექსი ჰინზარაული

\* დედინაცვალი.

454  
6.VIII 90



7-90

# ბენზინი არ იქნება!

## ლექსი

იუმორისკა

ღამის 10 საათი იყო. თბილად ჩავიცვი, ავტომანქანის გასაღები, ტექნიკური პასპორტი და მართვის მოწმობა ავიღე, ოჯახს თვალს მოვავლე და სახლიდან გამოვედი. ცოლმა და ორმა ქალიშვილმა ნაღვლიანი მზერა გამომაყოფნა. ალბათ ასე აცოლებდნენ 1941 წელს ფრონტზე მიმავალ ჯარისკაცს, რომელიც, არავინ უწყუდა, დაბრუნდებოდა თუ არა შინ..

„უიგულში“ ჩავჯექი. მანქანა ავამუშავე, ძრავის გახურებაზე აღარ მიზრუნია, არც ელექტრომწყობილობისათვის შემინდავს, რადგან თითქმის ნულზე მისული ბენზინის მარცხველი აღარ შევაწყუბე, და გზას გავუღიქვი. საით? ბენზინის საზოგადოება!..

„...ცლა ბედის მონახვერეაო!“, — უთქვამთ. მეც ვცდი და მთელს თუ არა, ნახევარ ბაკ ბენზინს მაინც ვიშოვი-მეთქი. ვფიქრობდი, ბენზინის ჩასახმელ სადგურამდე აღარ მივსულვარ, რადგან სანაპიროზე ჩავდი თუ არა, თითქმის მაშინვე შეგფერთდი ავტომანქანების რიგში.. ვინ არ შემხვდა აქ: მეგობარი თუ ახმა-ნაგი, ნაცნობი თუ უცნობი.. ასეთი ერთსულსკვება არხად მი-ნახავს! უკელას ერთი ფიქრი გვაძლავს — ბენზინის შოვნა! ვდგავართ ეს ერთი ფიქრით შეპყრობილები და ვვლით: „ღგანან და ელიანს!“ — გამახსენდა ვაჟა-ფშაველას სიტყვები. რა უბედურები ვართ, სანამ ცოტა-ოდენ ბენზინს ვიშოვიდეთ! ვი-შოვით და — სიხარულით ცან ვეწვიით!..

ღამის ორ საათამდე დრო ტკბილ მუსიკაში გავლიეთ!..

ტკბილი მუსიკა წუთისოფლის სიმწარეზე!..

— ახლა ბენზინი არ არი და მალე ნავთიც არ იქნება!

— ნავთი რა ოხრობად გინდა, მანქანაში მაინც ვერ ჩაახსამ!

მანქანაში ვერა, მაგრამ ლამფისთვის ხომ გინდა, ელექტრო-დენი რომ აღარ გეკნება?!

— მალე ნავთურებიც საშოვნი გაგვიხდება! გაუ მოკლებს და საქმელი რაზე უნდა მოვამზადოთ?! მე შენ გეტყვი, მამა-პაპურ ბუნარს ან მოგუგუნე ლუმელს დაანთებ!..

ცოტა ხნის შემდეგ სანაპირო-ზე სიმშვიდემ დაისადგურა. „არსაიდან ხმა, არსით ძაბილი!..“ უსიამო ფიქრმა წაიღო ყველა.. მერე ეს ფიქრი წუხილად იქცა. დროდადრო ამ ფიქრს ბნელში გაეღვებოდა ნაერწყლები ახალისებდა იმედი, რომ გათენ-დებოდა დილა და მთელი თუ არა, ნახევარი ბაკი ბენზინი მაინც გვექნებოდა!..

„მოდე ერთი ვნახო, მერამდე-ნე ვარ?!“ — გავიფიქრე, მანქანიდან გამოვედი და ბენზინის ჩასახმელი სადგურისაკენ გამწკრი-ვებულ ავტომანქანებს გავყვი. ჩემ წინ 800-მდე მანქანა ღვას თურმე! თითოში ბენზინის ჩახხ-მას რომ ორი წუთი დასჭირდეს, სულ 800 წუთი იქნება საქირო! 800 წუთი ხომ 10 საათია! ესე იგი, კარგად რომ გათენდება და

ბენზინს მოიტანენ, იქიდან მო-კიდებული, 10 საათს მაინც უნდა ველოდო, სანამ ბენზინს ჩამი-ხამდნენ! აუჰ!

ჩემი გაანგარიშება შორიახლო მყოფთაც გავაცანი და იმათაც გულს შემოეყარათ.

უსიამო ფიქრში კიდევ დი-ხანს ვიბორბე.

ბოლოს, გათენებამ რომ მოა-ტანა, ტკბილად ჩამძინა და კი ტკბილი სიხარული ვნახე:

... ვხედავ, რიგში მდგარ ჩვენს თითო მანქანას თითო ჩასახმელი ხვები უდგას გვერდით და სა-ნუკვარ მგ-ს გვიხამს! „რევოლ-ვერებიდან“ ზომიერად მოჩხრია-დებს ბენზინი და ბაკში ჩაედინე-ბა!.. კიდევ რამდენიმე წამი და ყველა მანქანა თითქმის ერთ-დროულად გაივსება ბენზინით!.. „კი მაგრამ, ფული როგორად უნ-და გადავიხადოთ, როცა ახლო-მახლო არავინ ღვას?!“ — მხო-ლოდ ეს ფიქრი არ მასვენებს ახლა!

— ამხანაგებო! — გაიხმა რე-პროდუქტორის ხმა დილის მშვიდ ჰაერში, — დღეს ბენზინი არ იქ-ნება!..

ამ ხმამ შემკრთო და ტკბილი სიზმრიდან მწარე მოგონებალა დამიტოვა!..

— ბენზინი არ იქნება! — ჩხა-ოლა რეპროდუქტორი.

სამწუხარო ცნობამ დავანაღვ-ლიანა. მერე ნაღველი ერთ დიდ სიხარულად გვექცა!..

— ვა შა-ა! ბენზინი არ იქნე-ბა! — შესძახა ვიღაცამ და ტაში შემოქრა.

— ვა შა-ა! — დაიქუხა ხალხ-მა.

იკაურობა სულ მალე დაცარი-ელდა.

„მადლობა ღმერთს, დღეს ბენ-ზინი არ მოიტანეს, თორემ რა გაძლებდა აქ კიდევ 10 სა-ათს?!“ — მიღტინებდა თავში ეს საამური ფიქრი და მანქანაში ჩარჩენილი ბენზინის უკანასკნე-ლი წვეთებით ვბრუნდებოდი შინ!..

საბირისა, ლე...  
შურნალი „ნიანტი“ №14  
(1816). ივლისი. გამო-  
დის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი  
ზაურ ზოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
ქაბუა ამირჯიანი, ნოზა  
ბართაია, რევაზ თვარაძე,  
ქემალ ლოლუა (მხატვარ-  
რედაქტორი). ნოდარ შალ-  
ვაშია, ალექსანდრე საშო-  
ნია, ბენჯამ სიხარულიძე  
(მთავარი რედაქტორის მო-  
ადგილე), ჯანსუღ ჩარკვი-  
ანი, თამაზ წიგვიანი.

ტექნიკური რედაქტორი  
ირაკლი ლუნდუა

გადაეცა ასაწყობად  
18. 06. 90 წ. ხელმოწერი-  
ლი დასაბეჭდად 24. 07.  
90 წ. ქალაქის ზომა-  
60X90<sup>1</sup>/<sub>8</sub>, ფიზიკური ნახე-  
ვი ფურცელი 1,5. სააღ-  
რიცხვო-საგამომცემლო თა-  
ხაში 1,9. საქართველოს კ-  
ცის გამომცემლო ბ-ბ, მ.  
კოსტავას ქ. № 14. შეკვ-  
№ 1360. უფ 07068. ტირაჟი  
125.000. ყურნალი გამოდის  
თვეში ორჯერ. რედაქციაში  
შემოსული მასალები ავ-  
ტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 850088,  
თბილისი-8, რუსთაველის  
პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი  
რედაქტორის — 92-55-54,  
მთ. რედ. მოადგილის —  
93-19-42, პ/გ მდივნის —  
93-10-78, მხატვარ-რედაქ-  
ტორის — 99-02-38, გან-  
ყოფილება გამგეების —  
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-  
მუშაეების — 99-02-38,  
მდივან-მე მანქანის —  
99-76-69.


სატირიკო - юмористиче-  
ский журнал «НИАН-  
ГИ» (На грузинском  
языке). Тбилиси, пр. Ру-  
стваели № 42. Издаель-  
ство ЦК КП Грузии,  
ордена Трудового Крас-  
ного Знамени типогра-  
фия издательства ЦК  
КП Грузии, Тбилиси,  
ул. М. Костава № 14.

ფასი 20 კა.

ინდექსი 76127

ივლისი

ნახ. 3. კუსტინასი



ბივი ციტყიფილი

საბირისა  
ნიანტი